

## მცირე შენიშვნა

1912 წელი

ჩემი ნაწერების გამომცემლების საყურადღებოდ ვწერ ამ შენიშვნას, რომ დღევანდელი შეცდომა არ გამეორდეს. ბ. ივ. გომელაურმა დაბეჭდა ცალკე წიგნად ჩემი სამი საყმაწვილო მოთხრობა, სათაურით „სამი საყმაწვილო ამბავი“, აქვე ჩაურთავს ჩემი ბიოგრაფია, სადაც ბლომად შეცდომები შეჰპარვია პატივცემულ გამომცემელს. საჭიროა ამ შეცდომების შესწორება : თუ ბიოგრაფია იწერება, უნდა დაიწეროს სიმართლით, ნამეტნავად სიყალბე უნდა შესწორდეს ჩემ სიცოცხლეშივე, რადგან იგი ჩემ სიკვდილის შემდეგაც იბარტყებს საკმაოდ.

მე დავიბადე სოფ. ჩარგალში 1862 წ. 15 მაისს. არა დროს მე ჩემ სოფელში სასწავლებელში არ მისწავლია და არც მასწავლებლად ვყოფილვარ. პირველად მამაჩემმა მიმაბარა თელავის სასულიერო სასწავლებელში. ამ სასწავლებლის მესამე კლასიდან მე შევედი ტფილისის სამოქალაქო სკოლაში, რომელიც ინსტიტუტთან არსებობს. სამოქალაქო სკოლაში რომ დავასრულე კურსი, შემდეგ გორის სემინარიაში შევედი. როცა იქაც სწავლა დავამთავრე, დამნიშნეს მასწავლებლად ტოლად-სოფელში (ერწოში), სადაც ერთი წელიწადი დავყავი და შემდეგ პეტერბურგში წავედი უნივერსიტეტში ლექციების მოსასმენად.. დანარჩენ ცნობებზე, რაც ბ. ივ. გომელაურსა აქვს მოყვანილი ჩემს ბიოგრაფიაში, არაფერი მეთქმის.